



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31.31203636

თარიღი:28/12/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №64

2020 წლის 25 დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით განკარგვაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 105-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში არსებული უძრავი ქონება, სკვერი (ს/კ 27.15.52.679)) განკარგვაზე.

მუხლი 2. დაკმაყოფილდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2020 წლის 19 ოქტომბრის N5/56984 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში არსებული უძრავი ქონება სკვერი (ს/კ 27.15.52.679)) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ იუსტიციის სახლისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/

